ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5217794

ნომერი: AR1793121

თარიღი : 07.12.2020

გაცემის თარიღი : 08.12.2020

გაცნობის თარიღი : 08.12.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N29, კორპუსი N4; კორპუსი N5; კორპუსი N6; კორპუსი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სოფიო ბერიშვილი პ/ნ 01008050958
- მ. კოსტავას #75

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 07

დეკემბერს №AR1793121 განცხადებით მომართა სოფიო ბერიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.094), შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი №2, სახლი №5) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 07 ნოემბრიდან 2020 წლის 07 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, №5 სახლისთვის განკუთვნილია 23 ღია ავტოსადგომი (ფართობი: 341.6 კვ.მ), რომელიც დატანილია სამსახურის 2020 წლის 21 სექტემბრის №5111019 ბრძანებით შეთანხმებულ ავტოსადგომების გადანაწილების განახლებულ სქემაზე. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული 23 ღია ავტოსადგომის (ფართობი: 341.6 კვ.მ.) ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირება. განმცხადებელს ასევე სურს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას შიდა ავტოსადგომების ფართობი, ვინაიდან აღნიშნული შიდა ავტოსადგომების ფართობი განკუთვნილია №7 ბლოკისთვის.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. ამასთან, ავტოსადგომების გადანაწილების სქემაზე დატანილ იქნა №5 ბლოკისთვის გათვალისწინებული ღია ავტოსადგომების ფართობები (23 ავტოსადგომი). სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებიდან შიდა ავტოსადგომების ფართობის (1116.2 კვ.მ.) ამოღებასთან ერთად იცვლება საერთო ფართობი და იგი შეადგენს 3978.6 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებაში და:
1.1. ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელბიდან ამოღებულ იქნას ავტოსადგომების ფართობი 1116.2 კვ.მ. აღნიშნულის გათვალისწინებით საერთო ფართობად დაფიქსირდეს 3978.6 კვ.მ.
1.2. ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად, №5 ბლოკისთვის დაფიქსირდეს: 23 ღია ავტოსადგომი (ფართობი 341.6 კვ.მ).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომების გადანაწილების სქემა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ავტოსადგომების გადანაწილების სქემით.
3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7),